საქართველოს საელჩო
ქ. პარიზი
AMBASSADE DE GEORGIE
PARIS

49824-54-3-201910161314

№ 49824-54
16/10/2019

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ **ალექსანდრე ხვთისიაშვილს**

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა დირექტორს
ბატონ **თეიმურაზ ჯანჯალიას**

სამინისტროში ელ. ფოსტით გამოგზავნილ ინფორმაციაზე დამატებით გიგზავნით საფრანგეთში ცნობილი საერთაშორისო კომპანიის **AXA Life &Health Reinsurance** ს წარმომადგენლებთან საერთაშორისო განვითარების დირექტორთან **ბნ ფრანსუა ფილიპთან** და რეგიონული თანამშრომლობის პროექტების მენეჯერთან **ქნ ელენა კონზუროვა-გრაფთან** საელჩოს დესპანის ბნ გოჩა ჯავახიშვილის შეხვედრის მოკლე ინფორმაციას და მათ მიერ მოწოდებულ პრეზენტაციას.

აღნიშნული შეხვედრა კომპანიის წარმომადგენლების თხოვნით შედგა საელჩოში, რომელსაც წინ უძღოდა დავოსის ფორუმის ფარგლებში საქართველოს პრემიერ მინისტრის **ბნი მამუკა ბახტაძისა** და კომპანიის გენერალური დირექტორის **ბნი ტომას ბუბელის** შეხვედრა, რომლის ფარგლებში მათ უსაუბრიათ საქართველოს მთავრობისა და კომპანიის შესაძლო თანამშრომლობაზე სოციალური უზრუნველყოფისა და საყოველთაო დაზღვევის სისტემის სფეროში რეფორმის ფარგლებში.
მათ ასევე აღნიშნეს, რომ კონსულტაციები გაიარეს საფრანგეთის განვითარების სააგენტოსთან, რომელიც ნაწილობრივ უკვე ჩართულია სოციალური უზრუნველყოფის რიგ პროექტებში.

იმისათვის, რომ უკეთ გამოიკვეთოს მათთან თანამშრომლობის ინტერესი და სავარაუდო კონტურები, ისინი თავადვე გვთავაზობენ, რომ ოქტომბრის ბოლოს ან ნოემბრის დასაწყისში პირველი ვიზიტით ჩამოვიდნენ საქართველოში და შეხვდნენ სოციალური სფეროს რეფორმის სამუშაო ჯგუფის კოორდინატორებს, უკეთ გაიაზრონ საქართველოს საჭიროებები, სახელმწიფოს ხედვა და სტრატეგია, მოლოდინები, რაც მათ დაეხმარებათ საქართველოს რეალობაზე მორგებული, თანამშრომლობის ოპტიმალური სტრატეგია შესთავაზონ, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო და კერძო სექტორის თანამონაწილეობას სოციალური სისტემის

რაიმონდ პუანკარეს გამზირი №104, 75116 პარიზი ‖ 104, avenue Raymond Poincaré 75116 Paris
ტელ./Tel: +331 (45) 02-16-16; ფაქსი/Fax: +331 (45) 02-16-01; ელ-ფოსტა/E-mail: ambassade.georgie@mfa.gov.ge

გამართული ფუნქციონირებისა და მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის ეფექტური სისტემის ჩამოსაყალიბებლად.

საქართველოს მხრიდან ამ წინადადებაზე და კომპანიასთან თანამშრომლობის ინტერესის შემთხვევაში, საელჩო ყველაფერს გააკეთებს, რათა აღნიშნული ვიზიტი იყოს შინაარსიანი და შედეგიანი საქართველოს ინტერესების გათვალისწინებით.

პატივისცემით,
თეა კატუკია

საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი